

გზვიდრობა, უსაფრთხოება და  
სტაბილურობა საქართველოში –  
ადგილობრივ თემებთან ერთად  
შემუშავებული სტრატეგია



# მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოში - ადგილობრივ თემებთან ერთად შემუშავებული სტრატეგია

თებერვალი, 2011



Foreign &  
Commonwealth  
Office



The project is funded  
by the European Union



ეს ანგარიში 2011 წლის თებერვალში ერთობლივად შეიმუშავეს მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და Saferworld-მა. აღნიშნული ანგარიში არის საქართველოში კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებზე უფრო ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობის მიმდინარე პროგრამის ნაწილი. პროგრამა და ეს ანგარიში ნაწილობრივ დაფინანსებულია გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტების მოგვარების ფონდის მიერ „კონფლიქტსა და სტაბილურობაზე სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის დიალოგის გაძლიერების“ პროგრამის ფარგლებში და ევროკავშირის მიერ Saferworld-ის და Conciliation Resources-ის ერთობლივი პროგრამის - „2008 წლის აგვისტოს კრიზისის შემდეგ, შესაბამისი პირობების შექმნა, კონფლიქტის ეფექტიანად თავიდან აცილებისა და ტრანსფორმაციის მიზნით“ ფარგლებში.

### **მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი**

ა. წერეთლის გამზირი 72  
0154 თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 35 51 54  
ფაქსი: +995 32 35 57 54  
ელფოსტა: info@cipdd.org  
ვებგვერდი: www.cipdd.org

### **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

ჯ. კახიძის (ყოფილი კრილოვის) ქუჩა, N 15  
0102 თბილისი, საქართველო  
ტელ: 995 32) 936101 / 952353  
ფაქსი: (995 32) 923211.  
ელფოსტა: gyla@gyla.ge  
ვებგვერდი: www.gyla.ge

### **Saferworld**

The Grayston Centre,  
28 Charles Square  
London, N1 6HT, UK  
ტელ: +44 (0)20 7324 4646  
ფაქსი: +44 (0)20 7324 4647  
ელფოსტა: general@saferworld.org.uk  
ვებგვერდი: www.saferworld.org.uk  
კომპანია N 3015948 (ინგლისი და უელსი)  
საქველმოქმედო ორგანიზაცია N143843

ამ ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები არ ასახავს მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და Saferworld-ის თვალსაზრისს.



## **მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოში - ადგილობრივ თემებთან ერთად შემუშავებული სტრატეგია**

### **შესავალი**

წინამდებარე ანგარიშში მოკლედ არის აღწერილი საქართველოში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების გამოსავლენად ოთხი წარმომადგენლობითი ჯგუფის მიერ 2009-2010 წლებში ქვემო ქართლის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში წარმოებული კონსულტაციების შედეგები. ნაშრომის პირველ ნაწილში აღწერილია მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული 5 მთავარი გამოწვევა, გაანალიზებულია და მოცემულია მათი მოგვარების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის რეკომენდაციები. ამდენად, შემუშავებული სტრატეგია ასახავს მოსახლეობის ხედვას, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენლობითმა ჯგუფებმა პროცესის თითოეულ ეტაპზე (პრობლემების გამოვლენა, უმთავრესი გამოწვევების ანალიზი და მათ მოსაგვარებლად სტრატეგიის შემუშავება) კონსულტაციები აწარმოეს საზოგადოების ფართო ჯგუფებთან, რათა გაცნობოდნენ მათ მოსახრებებსა და შეხედულებებს. ეს არ არის ეგრეთ წოდებული “ექსპერტული ანალიზი”, ეს არის ანალიზი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ოთხ რეგიონში მცხოვრები ადამიანების აღქმასა და რეალობას. იმედი გვაქვს, რომ ეს გამოცემა დაეხმარება ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო გადაწყვეტილების მიმღებებს, უკეთ გაუმკლავდნენ სახელმწიფოს წინაშე მდგარ სირთულეებს.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და უსაფრთხო მსოფლიო (Saferworld) ერთობლივად ახორციელებენ პროგრამას – საქართველოში კონფლიქტზე, უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა, რომლის შედეგიცაა ეს ანგარიში. პროგრამა შექმნილია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების დასახმარებლად, რათა მან შეძლოს კონფლიქტსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გაანალიზება და უფრო პოზიტიური როლის შესრულება ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით. პროცესი ითვალისწინებს ორმხრივ დიალოგს წარმომადგენლობით ჯგუფებსა და ფართო საზოგადოებას შორის სამეგრელოს, სამცხე-

ჯავახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. გათვალისწინებულია აგრეთვე რეგულარული შეხვედრები ამ რეგიონების წარმომადგენლებს შორის ანალიზის შედეგების ურთიერთგაცნობის მიზნით.

პროცესის მიზნებია:


1. კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების წევრებისგან მათივე ხედვის შესახებ ინფორმაციის მიღება;
2. კონფლიქტთან დაკავშირებით დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება;
3. საზოგადოების ხელშეწყობა, რათა მათ სხვა თვალთ შეხედონ და უფრო ფართო ჭრილში დაინახონ საკითხები;
4. საზოგადოებისთვის სხვადასხვა რეგიონში არსებული ხედვის გაცნობა.

მთლიანი პროცესი შედგება ოთხი საფეხურისაგან (იხ. დიაგრამა). პირველი საფეხური მიზნად ისახავდა გაგვეგო, 2008 წლის ომის შედეგებთან დაკავშირებით, რა ხედვა ჰქონდათ ადგილობრივ თემებს ოთხ სამიზნე რეგიონში, და დაგვედინა, რა განსხვავება იყო ხედვებს შორის ამ რეგიონების მიხედვით. ამ საფეხურის მონაცემები ასახულია ანგარიშში „როგორ აღიქვამს საზოგადოება ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს“. მეორე საფეხური ყურადღებას უთმობდა იმ გამოწვევების ღრმა ანალიზს, რომლებიც არსებობს თითოეულ რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით. მესამე საფეხური კი ფოკუსირებული იყო იმ სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც საჭიროა რეგიონებისათვის ძირითადი გამოწვევების დასაძლევად. თითოეული სამიზნე რეგიონისათვის შეიქმნა ცალკე ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია მეორე და მესამე საფეხურების შედეგები. ბოლო საფეხურში, რომელიც მოცემულია ამ ანგარიშში, ასახულია ეროვნული დონის სტრატეგია, როგორ უნდა გაუუმკლავდეთ გამოწვევებს, რომლებიც გაიზიარა ოთხივე სამიზნე რეგიონმა. ამ ანგარიშის დანართში მოცემულია მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებული იყო გამოწვევების ანალიზისა და მათი სათანადოდ გადაწყვეტის სტრატეგიის შესაქმნელად.

ამ პროცესის ღირებულება ისაა, რომ იგი ხელს უწყობს მასში ჩაბმულ ჯგუფებს წარმართონ ღრმა და შინაარსიანი დიალოგის პროცესი როგორც რეგიონის შიგნით, ისე რეგიონებს შორის.

მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სტრატეგია, რომელიც შემუშავდა ოთხი რეგიონისა და მთლიანად ქვეყნისთვის, შემდგომში საფუძვლად დაედება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პოლიტიკის შემქმნელებს შორის დიალოგის წარმოებას.

### დისკუსიის პროცესის საფეხურები



1. 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები
2. რეგიონებისათვის დამახასიათებელი კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები და მონაწილე მხარეები
3. რეგიონებისათვის დამახასიათებელი ძირითადი გამოწვევების დაძლევის სტრატეგიის შექმნა
4. ძირითადი/ეროვნული გამოწვევების დაძლევის სტრატეგიის შექმნა



## ეროვნული სტრატეგიის მოკლე შინაარსი

ეს სტრატეგია ასახავს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით საქართველოს ოთხ რეგიონში ადგილობრივი თემების მიერ იდენტიფიცირებულ ქვეყნისათვის მთავარ გამოწვევებს. კერძოდ:

1. საფრთხეები მომავალი ეროვნული უსაფრთხოებისათვის;
2. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
3. პრობლემები ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის კონტაქტისა და დიალოგის წარმოების კუთხით;
4. რეგიონების დაბალი ეკონომიკური განვითარების დონე;
5. უმნიშვნელო პროგრესი ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში.

ამ გამოწვევების საპასუხოდ წარმომადგენლობითი ჯგუფის ქსელი აყალიბებს შემდეგს:

*მომავალი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შემდეგის მეშვეობით:*

- კონფლიქტის მხარეებს შორის შეთანხმება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის სამხედროების საპოლიციო მანდატის მქონე საერთაშორისო სამშვიდობოების ჩანაცვლებაზე;
- საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა;
- ეროვნული უსაფრთხოების მიმართ უფრო მეტად დაბალანსებული მიდგომის ჩამოყალიბება;
- ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაზე ანგარიშვალდებულების გაზრდა, გამყოფი ზოლის ყველა მხარეს.

*ეთნიკური უმცირესობების ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები*

- საერთო ინტერესების სფეროების შექმნა და ეთნიკური ჯგუფების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დაახლოება;
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ყველა ეთნიკურ ჯგუფში;
- სახელმწიფო ენის ცონდის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებში;
- ადგილობრივი/ეროვნული მედიის მხარდაჭერა

ინტეგრაციის პროცესში უფრო დადებითი როლის შესრულების მიზნით.

*იმისათვის, რომ უფრო წახალისდეს კონტაქტები ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის და მოიხსნას ინტერაქციის ბარიერები, საჭიროა:*

- საქართველოს მთავრობამ გონივრულად წახალისოს კონტაქტების განვითარება კონფლიქტის ყველა მხარეს როგორც პოლიტიკის წარმოებით, ისე პრაქტიკაში;
- საზოგადოებამ უფრო მეტად მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში და მხარი დაუჭიროს ამ უკანასკნელის მიზნებს;
- მედიამ კონსტრუქციულად გააშუქოს სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებული ინიციატივები;
- რუსეთის მთავრობამ (ისევე როგორც სოხუმმა და ცხინვალმა) ნაკლებად შეზღუდოს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის კონტაქტი;
- საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება მოიძიართოს ფართო სამშვიდობო ინიციატივებს მხარდაჭერაზე, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოების ფართო სპექტრი.

*რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გაზრდის მიზნით, საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:*

- რეგიონებზე მორგებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შემუშავება და მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლების მიერ;
- რეგიონების ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
- უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ბაზარის დივერსიფიცირება.

*რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება ისეთი ნაბიჯებით, როგორცაა:*

- მმართველობის პროცესის შემდგომი დეცენტრალიზაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების პროფესიული უნარ-ჩვევების გამყარება;
- მმართველობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობა;
- ადგილობრივი მმართველობის და მისი მუშაობის შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში.

## ძირითადი გამოწვევა1: ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები

### ა) მნიშვნელობა მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. საქართველო თავიდანვე დიდ ძალისხმევას ახმარდა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ერთიანი იურისდიქციის უზრუნველყოფას. 1990-იან წლებში სამოქალაქო ომს, აფხაზებსა და ოსებთან კონფლიქტს და მათი დე-ფაქტო დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენური ვითარება მოჰყვა. საერთაშორისო არენაზე საქართველო ცდილობდა გამოენახა სწორი პოლიტიკა საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად და დაებალანსებინა რუსეთსა (მისი გავლენის სფეროების გათვალისწინებით) და დასავლეთს (ენერგორესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ინტერესი დემოკრატიული განვითარების კუთხით) შორის შეჯიბრობითობაზე დამყარებული ინტერესები.

2008 წლის აგვისტოს ომმა ნათელი გახადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არჩეული საშუალებები - მხოლოდ სამხედრო სფეროს განვითარება და პროფესიონალიზმი, და აგრეთვე ნატოს წევრობისაკენ სწრაფვა თავისთავად საკმარისი არ არის. ომის დროს საქართველომ მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო ზიანი განიცადა, რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრის შედეგად ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო და სახელმწიფოს ტერიტორიის დიდი ნაწილი რუსეთის კონტროლის ქვეშ მოექცა. ამასობაში, ორ წელზე მეტი გავიდა ომის დამთავრებიდან და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ არანაირი საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმი არ შექმნილა, ამასთან, საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიები შეწყდა, რითაც პრაქტიკულად დაიკარგა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი კიდევ ერთი საშუალება.

### ბ) ეროვნული დონის ზეგავლენა (ვისზე და როგორ აქვს გავლენა)

- საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი დაუცველად გრძნობს თავს და შიშით შეჰყურებს მომავალს. ეს გამოწვეულია უკანასკნელი ომიდან მიღებული მძიმე გამოცდილებით და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის გაზრდილი სამხედრო კონტინგენტით, რაც ზრდის იმის შიშს, რომ ძალადობა და შეტაკებები შესაძლოა კვლავაც განახლდეს.
- დაუცველობის განცდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ

ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში, რომლებსაც პირადად შეეხო კონფლიქტი - ეს ეხება გალის რაიონისა და აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას. ამას უპირველესად განაპირობებს საერთაშორისო სამშვიდობოების გამოყვანა და იმის შიში, რომ თითოეულის ოჯახი და მათი ყოველდღიური ცხოვრება შეიძლება ადვილად აირიოს მომავალი შეტაკებების შემთხვევაში.

- ეთნიკურად აფხაზებსა და ოსებსაც აქვთ დაუცველობის განცდა, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს მთავრობა მომავალში კვლავაც გამოიყენებს ძალას, ისინი იმაზეც წუხან, რომ რუსეთის დიდი სამხედრო კონტინგენტის ყოფნამ შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინოს აფხაზებისა და ოსების კულტურასა და მომავალზე.
- ფართოდ გავრცელებული დაუცველობის განცდისა და შიშის გამო ბევრი ადამიანი საკუთარ მომავალს საქართველოში ვერ ხედავს და არ ახორციელებს ინვესტირებას საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების დაგეგმვაში, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის სოციალურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ/პოლიტიკურ განვითარებაზე. შეიძლება გაჩნდეს ქართველების ახალი თაობა, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას საზღვარგარეთ მოახდენს.
- პოტენციური ძალადობის საფრთხე ასევე უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე და შეაფერხოს ეკონომიკური განვითარება.

### **გ) ეროვნული დონის გამოწვევი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)**

- 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაიზარდა რუსული სამხედრო კონტინგენტი და მათი მოქმედებების ბუნება დრამატულად შეიცვალა. რუსი სამხედროები ომამდეც იმყოფებოდნენ ორივე რეგიონში, მაგრამ მათი მოქმედებები ემყარებოდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. დღეს კი, მათი იქ ყოფნა აღარ არის დაფუძნებული საქართველოსთან შეთანხმებაზე და ისინი საქართველოს მიერ საოკუპაციო ძალად განიხილებიან.
- ჟენევის პროცესის ფარგლებში გამართული დისკუსიები ჯერ არ გადაზრდილა კონფლიქტის მხარეებს შორის

ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ უსაფრთხოების მექანიზმზე შეთანხმებაში, რომელსაც უნდა შეეცვალა 2009 წელს შეწყვეტილი ეუთოსა და გაეროს მისიები საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისია კვლავაც ფუნქციონირებს, მას არ გააჩნია აღმასრულებელი მანდატი და მის მონიტორებს მხოლოდ მომხდარი შემთხვევების ჩანიშვნა შეუძლიათ. შესაბამისად, არ არსებობს ეფექტიანი სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც თავიდან აგვაცილებდა შესაძლო დაძაბულობას ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათი საპასუხო მექანიზმის გარდა, რომელიც დაფუძნდა ჟენევის პროცესის ფარგლებში, არ არსებობს სათემო დონის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი.

- აფხაზები და ოსები არ ენდობიან საერთაშორისო თანამეგობრობას (როგორც მონიტორებს, ისე საერთაშორისო სამშვიდობოებს) კონფლიქტის მართვაში, რადგან სჯერათ, რომ დასავლეთი პროქართულად არის განწყობილი და ისინი თავიანთ ფუნქციებს მიუკერძოებლად და ობიექტურად ვერ შეასრულებენ.
- საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული მტრული განწყობის გამო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროების ყოფნით გამოწვეული საფრთხე შემფოთებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ამ ორ ქვეყანას, მათ კულტურას ბევრი საერთო ჰქონდა, დღეს თითქმის არ არსებობს არანაირი ურთიერთობა - არც პირდაპირი ვაჭრობა, არც სოციალური კონტაქტები და არც ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები. პირდაპირი დიპლომატიური კავშირების არარსებობა იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის განმუხტვას.
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პრიორიტეტს ანიჭებს დასავლეთთან ურთიერთობებს, რასაც კონფლიქტის მეორე მხარე არასაიმედოდ აღიქვამს. აგვისტოს ომამდე საქართველო ცდას არ აკლებდა გაწევრიანებულიყო ნატოში - ეს იყო მისი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანი. თუმცა, ამან გამოიწვია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესება და აღმოჩნდა, რომ ეს არაეფექტიანი იყო, ვინაიდან საქართველომ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს.
- უსაფრთხოების საკითხებზე ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია დემოკრატიული

ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებზე, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა პოლიტიკური ხედვა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებები სათანადოდ არის გაანალიზებული. მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებთან შედარებით საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა უსაფრთხოების სექტორში, გაზარდა სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიანობა, ბევრი რამ კვლავაც გასაკეთებელი რჩება.

### **დ) რეკომენდაციები**

მომავალი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ძირითადი ჯგუფის წევრები რეკომენდაციას უწევენ ისეთ წინაპირობებსა და კონკრეტულ ნაბიჯებს, როგორცაა:

1. შეთანხმება კონფლიქტის მხარეებს შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედროების საერთაშორისო საპოლიციო მანდატის მქონე მშვიდობისმყოფელებით ჩანაცვლებაზე, რისთვისაც:
  - ა) მესამე ქვეყნებმა, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთან, უნდა აიღონ დამატებითი ვალდებულებები საპოლიციო მანდატის მქონე საერთაშორისო სამშვიდობოების განლაგების შესახებ მოლაპარაკების წარმართვაზე, იქნება ეს აქნების ფორმატში თუ მისგან დამოუკიდებლად;
  - ბ) საერთაშორისო მედიატორებმა უნდა დაარწმუნონ აფხაზები და ოსები, რომ საერთაშორისო სამშვიდობოების განთავსება მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით იქნება მიუკერძოებელი, ობიექტური და არ შეეხება მათ პირად უსაფრთხოებას;
  - გ) საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო საზოგადოებასთან წინდახედული დიალოგის მეშვეობით, ლობირება უნდა გაუწიოს საერთაშორისო სამშვიდობოების განთავსებას, იმის ხაზგასმით, რომ ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრებისათვის; ასეთი ლობირება უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივ კვლევებს, მათ შორის ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებს;
  - დ) ნდობის წახალისებისა და უსაფრთხოების განცდის გასაზრდელად საქართველოს ხელისუფლებამ თანამიმდევრული პოლიტიკა უნდა აწარმოოს აფხაზეთსა



- და ოსებთან მიმართებით. მაგალითად, მთავრობამ სამშვიდობო ინიციატივები არ უნდა შეასუსტოს აგრესიული ან სამხედრო რიტორიკით;
- ვ) საერთაშორისო საზოგადოების მედიატორობით თბილისი, ცხინვალი და სოხუმი უნდა შეთანხმდნენ ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმის აღდგენაზე; გაითვალისწინონ 2008 წლის აგვისტომდე არსებული მექანიზმის ხარვეზები, მიზნები და ფარგლები. ამ მექანიზმის მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო სამუშაო რეგულაციებს, რომლებსაც გაიზიარებს ყველა მხარე.
2. *რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური კავშირების აღდგენა.*
    - ა) საქართველოს მთავრობამ და ასევე რუსეთის მთავრობამ უნდა გამოიყენონ უფრო კონსტრუქციული ენა ერთმანეთთან ან ერთმანეთზე საუბრისას;
    - ბ) საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო საზოგადოების მედიატორობის მეშვეობით, უნდა დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენისა და ვაჭრობისათვის ბარიერების მოხსნის შესახებ.
  3. *სახელმწიფო უსაფრთხოებისადმი უფრო მეტად დაბალანსებული და თანამიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბება.*
    - ა) მთავრობამ, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ორგანიზება უნდა გაუწიოს საჯარო დისკუსიებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ პარლამენტარები, ოპოზიციური პარტიების ლიდერები და საზოგადოების წარმომადგენლები;
    - ბ) მთავრობამ ასეთი დისკუსიების შედეგების გათვალისწინებით უნდა გადახედოს თავის სამომავლო გეგმებს.
  4. *ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაზე ანგარიშვალდებულების გაზრდა, კონფლიქტის ხაზის ყველა მხარეს.*
    - ა) საქართველოს მთავრობამ და ფართო საზოგადოებამ უნდა გამოიკვლიონ და გაითვალისწინონ ნატოს სხვა წევრ-ქვეყნების მიერ განხორციელებული რეფორმები

(განსაკუთრებით ნატოს ახალი წევრების - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება), კონკრეტულად, როგორ გააუმჯობესეს მათ უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების მიმართ საჯარო ანგარიშვალდებულება;

- ბ) თბილისმა და სოხუმმა/ცხინვალმა ფართო საზოგადოებასთან ერთად უნდა გაარკვიონ და გაითვალისწინონ ის, თუ, გამყოფ ხაზებს შორის სხვა კონტექსტებში როგორ თანამშრომლობს ხალხი უსაფრთხოების სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე ანგარიშვალდებულების გასაზრდელად;
- გ) ინფორმაცია უსაფრთხოების სექტორში განხორციელებული დანახარჯების შესახებ კანონით დადგენილ ფარგლებში უნდა იყოს საჯარო და განხორციელდეს მთავრობასა და საზოგადოებას შორის რეგულარული ანგარიშვალდებულების ფორუმის სახით.



## ძირითადი გამოწვევა 2: ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

### ა) მნიშვნელობა მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. საქართველოს ყოველი მე-6 მოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, ხოლო სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში - ყოველი მეორე. 1990-იან წლებში ეთნიკურ ნიადაგზე გაჩენილმა მწვავე კონფლიქტებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის ქვეყანასა და მთლიანად რეგიონში.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის წარმატებულად წარმართვა ასევე მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში, როგორც იმის დადებითი მაგალითი, თუ როგორ იქნება დაცული აფხაზეთისა და ოსების უფლებები გაერთიანებულ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კონფლიქტის გამომწვევი ძირეული მიზეზები დღესაც შეინიშნება. ჯერაც არ არის განვითარებული მდგრადი მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ უმცირესობებმა თავი იგრძნონ საზოგადოების განუყრელ ნაწილად და ეთნიკური უმცირესობების საკითხებს ხელისუფლებამ და ფართო საზოგადოებამ სათანადო ყურადღება დაუთმოს. ამას ემატება უმეტეს შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების ისტორიულ სამშობლოზე მიბმულობის მაღალი ხარისხი, მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო წყაროებზე დამოკიდებულება და სახელმწიფო ენის არცოდნა. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირების პოტენციალი, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაცია ძალიან სუსტია.

### ბ) ეროვნული დონის ზეგავლენა (ვისზე და როგორ აქვს გავლენა)

- დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განპირობებულია სახელმწიფოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონით, ამას ემატება სახელმწიფო ენის არცოდნა, განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები, რაც ზრდის უკმაყოფილებას და ქვეყნის დატოვების მოტივაციას.

- სოციალური სერვისის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია უმცირესობების ჯგუფების ყველა ასაკის წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ხშირად საჯარო ინსტიტუტებს არა აქვთ განვითარებული შესაბამისი მექანიზმები და კულტურა, მოემსახურონ უმცირესობების ჯგუფებს. ეს სერიოზულ ზიანს აყენებს მათი ცხოვრების დონეს და ზრდის უკმაყოფილებას.
- ეთნიკურად ქართულ და არაქართულ თემებს არა აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა გეოგრაფიული დაყოფის, შერეულ რეგიონებში მცხოვრებ თემებს შორის საერთო საკომუნიკაციო ენის არარსებობის, ან არსებული სტერეოტიპების გამო.
- კონტაქტების არარსებობა ეთნიკური უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში იწვევს ერთმანეთის მიმართ უნდობლობას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გაუგებრობა და დამაბულობა ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები ხშირად ჩივიან, რომ ქართველებს მათი ასიმილაცია აქვთ განზრახული ან რომ დევნიან საქართველოდან. თავის მხრივ, ქართველებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ შეიძლება იმოქმედონ (ან ისინი გამოიყენონ ამ მიზნით).

### **გ) ეროვნული დონის გამომწვევი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)**

- ეთნიკური და კულტურული განსხვავება (მათ შორის რელიგიური) ზოგჯერ გაუგებრობის/უთანხმოების და დამაბულობის წყარო ხდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წამოჭრილმა ეთნიკურმა დაპირისპირებებმა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის როლის გაზრდამ გააღრმავა საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის გაუცხოება, კარჩაკეტილობა და უნდობლობა.
- მწირი ეკონომიკური და სოციალური კავშირები აძლიერებს ეთნიკურ თემებს შორის იზოლაციას. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მუნიციპალიტეტის ცენტრებიდან დაშორებულ დასახლებებში. მათ იზოლაციას სხვა პრობლემებთან ერთად ხელს უწყობს სასოფლო გზების გაუმართაობა, მოუწყვსრიგებელი ტრანსპორტი.
- მჭიდრო კავშირი (ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური) ეთნიკური უმცირესობების თემებსა და მათ

ისტორიულ სამშობლოს შორის აძლიერებს მათ გაუცხოებას საქართველოს დანარჩენი ნაწილისგან. ეს ტენდენცია უფრო თვალსაჩინოა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, რომლებიც ესაზღვრებიან სომხეთსა და აზერბაიჯანს.

- ყველა ეთნიკურ ჯგუფში სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე ამცირებს ერთმანეთის მიმართ მიმდებლობის, ერთმანეთის ადეკვატურად აღქმის ხარისხს და ასევე ერთმანეთის როგორც ერთი ქვეყნის მოქალაქეებად აღქმას. ეთნიკური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება იგება არსებულ სტერეოტიპებზე, ურთიერთობისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეთნიკურ კუთვნილებას.
- კომუნიკაციისა და ენის ბარიერის არსებობა სხვადასხვა ჯგუფს შორის. ბევრმა ადამიანმა უმცირესობების ჯგუფებიდან არ იცის, ან ცუდად იცის, სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენის სწავლის მოტივაცია ამჟამადც დაბალია, რადგან ქართულის ცოდნა არ გულისხმობს გარანტირებულ გაზრდილ შესაძლებლობებს. ქართული ენის შესწავლის პროგრამების არაეფექტიანობის გამო მოტივაციის არსებობის შემთხვევაშიც სახელმწიფო ენის შესწავლა პრობლემას წარმოადგენს.
- ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული შეხედულებები ქვეყანაში მიმდინარე/ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებზე (ეს პრობლემა მკვეთრად გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს). ეთნიკური უმცირესობები ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებზეც, ძირითადად მეზობელი ქვეყნების მედიაწყაროებიდან (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) იღებენ.

## დ) რეკომენდაციები

ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით რეკომენდებულია ისეთი წინაპირობები და კონკრეტული ნაბიჯების განხორციელება, როგორცაა:

1. საერთო ინტერესების სფეროების შექმნა და ეთნიკური ჯგუფების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დაახლოება:
- ა) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა დონორთა დახმარებით უნდა შექმნან სპეციალური პროგრამები

- სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთობლივი ბიზნესის წასახალისებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებს;
- ბ) კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დაგეგმონ და გაატარონ ერთობლივი (მრავალეთნიკური) კულტურულ-სპორტული ღონისძიებები;
  - გ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები და წახალისოს ეთნიკური უმცირესობები საქართველოში უმაღლესი და ტექნიკური განათლების მიღების მიზნით;
  - დ) მთავრობამ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა გააგრძელონ ინფრასტრუქტურული პროექტების (რეგიონების დამაკავშირებელი და ასევე შიდა გზების რეკონსტრუქცია, საზოგადოებრივი ტრასნსპორტის მიმოსვლის ეფექტიანი ორგანიზება) განხორციელება რეგიონებში და ხელმისაწვდომი გახადონ მოსახლეობისთვის ქვეყნის შიგნით გადაადგილება; ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობის დანარჩენ რეგიონებთან დაახლოებას და მათ შორის ბიზნესურთიერთობების განვითარებას;
2. *სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ყველა ეთნიკურ ჯგუფში:*
- ა) საქართველოს მთავრობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა განავითარონ სოციალური სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის (კულტურის სამინისტრო) დაცვის პოლიტიკა;
  - ბ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ და განახორციელონ სამოქალაქო განათლების პროგრამები ყველა ეთნიკური ჯგუფის მიერ კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობის გასაზრდელად.
3. *სახელმწიფო ენის ცონდის დონის ამაღლება ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებში:*
- ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ეთნიკური

- უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივმა ხელისუფლებამ სკოლამდელ და სასკოლო დონეებზე უნდა შეაფასონ და დახვეწონ სახელმწიფო ენის სწავლების მიმდინარე პროგრამები; ასევე გაზარდონ სახელმწიფო ენის სწავლების ინტენსივობა;
- ბ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების დახმარებით, უნდა მოამზადოს არაქართული სკოლებისათვის ქართული ენის პედაგოგები და გადაამზადოს არსებული კადრები;
- გ) მთავრობამ, სხვადასხვა დარგობრივმა სამინისტროებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დონორთა მხარდაჭერით უნდა შექმნან სახელმწიფო ენის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები, რისთვისაც საჭიროა სპეციალური პროგრამების განვითარება და ხელშეწყობა (მაგ., სტაჟირება საჯარო სტრუქტურებში ან არასამთავრობო ორგანიზაციებში).
4. *ადგილობრივი და ეროვნული/ცენტრალური მედიის დადებითი როლი ინტეგრაციის პროცესში:*
- ა) საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ პროგრამები უმცირესობის რეგიონებში მედია-საშუალებების შექმნისა და გაძლიერების მიზნით;
- ბ) ცენტრალურმა მედიასაშუალებებმა უნდა გაზარდონ დაფარვა რეგიონებში და ხელმისაწვდომი გახადონ საინფორმაციო და სხვა პროგრამები რეგიონების მოსახლეობისათვის; ასევე გააშუქონ სხვადასხვა, მათ შორის უმცირესობების, რეგიონში მიმდინარე მოვლენები (მაგ., განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის მაგალითების გაშუქებას);
- გ) ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა და განახორციელონ პროგრამები, რომლებიც ეთნიკურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს მოამზადებს იმისათვის, რათა მათ ადეკვატურად გააშუქონ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები.

### **ძირითადი გამოწვევა 3: ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის დიალოგის შესაძლებლობისა და უფრო მეტ ინტერაქციასთან დაკავშირებული სიძნელებები**

#### **ა) მნიშვნელობა მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის**

საქართველოს რთული ვითარება აქვს როგორც საერთაშორისო დონეზე რუსეთთან ურთიერთობაში, ისე ქართველებსა და აფხაზებს შორის, ერთი მხრივ, და ქართველებსა და ოსებს შორის, მეორე მხრივ, ორი ადგილობრივი დონის კონფლიქტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა რუსეთის მოქმედებებზეა დამოკიდებული, ის მაინც ვერ იქნება მდგრადი, თუ ქართველები და აფხაზები და ქართველები და ოსები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას. ეს უკავშირდება გამყოფი ხაზებით დამორიშორებულ აფხაზებსა და ოსებთან დიალოგს. იმისათვის, რომ ასეთ ინიციატივებს შედეგი მოჰყვეს, დიდი დროა საჭირო, რადგან მხარეებმა უნდა აღიდგინონ ნდობა ერთმანეთის მიმართ და შესაბამისად მდგრადი მხარდაჭერა სჭირდებათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სამწუხაროდ, 1990-იანი წლებიდან დაწყებული დიალოგის ინიციატივებში მონაწილეობის ხელშეწყობა შემცირდა, განსაკუთრებით კი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. დიალოგი განსაკუთრებით რთულია ფართო საზოგადოების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დიალოგის წარმოება პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ეს თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ასეთ დიალოგს ფართო მხარდაჭერა და მონაწილეობა მოჰყვება. ამავე დროს, დიალოგის ინიციატივებს ქმედითი და ლოგიკური მხარდაჭერა არ ჰქონია არც საქართველოს ხელისუფლებისაგან, არც საერთაშორისო საზოგადოებისაგან, არც რუსეთისაგან, არც აფხაზებისა და ოსებისგან. მეტიც, შეინიშნებოდა ასეთი ინიციატივებისთვის ხელის შეშლისა და ჩაშლის ერთგვარი ტენდენცია. შედეგად კონფლიქტის არსებითად გადაჭრა ხანგრძლივი პერსპექტივაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს ადმინისტრაციული ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დევნილები კვლავ მძიმე პირობებში იქნებიან.



## ბ) ეროვნული დონის ზეგავლენა (ვისზე და როგორ აქვს გავლენა)

- ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც ჩაბმული არიან სამშვიდობო პროცესებში, პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიან და აგრეთვე უნდობლობა აქვთ საზოგადოების მხრიდან. ამის გამო, მათ შეიძლება თავი დაანებონ სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობას, რათა ზედმეტად არ შევიდნენ დავაში სხვა აქტორებთან, ან ნაკლებ ეფექტიანად იმუშაონ. სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ასეთ საკითხებზე მხოლოდ რამდენიმე პირი და ორგანიზაცია მუშაობს.
- სახალხო დიპლომატიის პროცესები, რომლებშიც ჩაბმულია მრავალი ადამიანი, მხარდაჭერილი არ არის დონორების მხრიდან, ასეთი მხარდაჭერით მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ორგანიზაციები სარგებლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფინანსება ნდობის აღდგენისათვის ისეთი ეფექტიანი არ არის, როგორც ეს შეიძლებოდა ყოფილიყო.
- ეთნიკურად აფხაზური და ოსური საზოგადოებები არ ენდობიან საქართველოს ოფიციალური პირების მიერ აღებულ ვალდებულებებს მშვიდობისა და ნდობის აღდგენასთან დაკავშირებით. ამას გავლენა აქვს არაოფიციალურ სამშვიდობო ინიციატივებზე, ვინაიდან ნაკლებად სავარაუდოა აფხაზებისა და ოსების ამდაგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა, როცა მათ საქართველოს პოლიტიკასთან ასოცირების შიში აქვთ.
- ამ გამოწვევებს და იმას, რომ ოფიციალურ პირებს ნაკლებად აინტერესებთ პირდაპირ დიალოგში ჩაბმა, შედეგად მოაქვს აფხაზებსა და ოსებთან კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივის სიმცირე. შესაბამისად, ეს აისახება ყველა იმ თემზე, რომელიც დაუცველ გარემოში ცხოვრობს, იქნება ეს ადმინისტრაციული ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუ აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა.
- კონფლიქტების გადაჭრის პროცესში პროგრესის ნაკლებობა ასევე გავლენას ახდენს დევნილებზე, რადგან მათი საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა ძალიან მცირეა. ეს აისახება სახელმწიფოს პოლიტიკაზეც დევნილებთან მიმართებით, რომელიც ამ ეტაპზე ფოკუსირებულია საზოგადოებაში დევნილების სრულ ინტეგრაციაზე.

## გ) ეროვნული დონის გამოწვევი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)

- საქართველოს ხელისუფლება არ ახორციელებდა მუდმივ

მხარდაჭერას ნდობის აღდგენისა და ჩაბმულობის ინიციატივების მიმართულებით, პირიქით, სკეპტიციზმიც კი გამოუთქვამს მათი ეფექტიანობის შესახებ, მეტიც, მან შეამცირა პირდაპირი დიალოგის პროცესში მონაწილეობა. ხელისუფლება მეტ ყურადღებას აქცევდა რუსეთთან კონფლიქტს საერთაშორისო დონეზე, ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ლოკალურ კონფლიქტებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ იმედის მომცემია ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, არსებობს წუხილი, რომ მასში არსებული სულისკვეთება პრაქტიკაში ვერ განხორციელდება.

- „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ჩართულობის სტრატეგიის“ შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ დააწესა სახელმწიფო კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განხორციელებული პროექტებისადმი. ყველა აქტივობის განხორციელებისათვის, გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, საჭიროა მთავრობის წინასწარი თანხმობა. ზოგს მიაჩნია, რომ ასეთი შეზღუდვა დააბრკოლებს მხარეებს შორის კავშირების გაბმას და ხელს შეუშლის სახალხო დიპლომატიის განვითარებას, ასევე, შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი აქტივობების დასაბლოკად, რომლებიც მთავრობისთვის პოლიტიკურად მიუღებლად მიიჩნევა.
- ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებები ზედმეტად ფოკუსირებული არიან წარსულზე და ნაკლებად ეძებენ შესაძლებლობებს სამომავლო ურთიერთობის აღსადგენად. ამას განაპირობებს: ა) წარსული ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმა; ბ) ორივე მხარეს არსებული წყენა და იმის განცდა, რომ მეორე მხარეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია მომხდარზე; გ) მეორე მხარის გასაჭირის გაზიარების პრობლემა; დ) კონფლიქტის დინამიკაზე სამშვიდობო საქმიანობის პოტენციურად პოზიტიური გავლენის სათანადო აღქმის არარსებობა. შედეგად, ხალხი ნაკლებად უჭერს მხარს სამშვიდობო პროცესების აქტივობებს, ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კიდევ მათ.
- სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერის დაბალ დონეს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ მედია იშვიათად და არაზუსტად აშუქებს ამ პროცესებს, რასაც, თავის მხრივ, ნაწილობრივ განაპირობებს უფრო დიდი პრობლემა, რომელიც უკავშირდება მედიის თავისუფლების ხარისხს



და ამ სექტორის სტრუქტურას, ხოლო, მეორე მხრივ, ქურნალისტების კომპეტენტურობის და გამოცდილების ნაკლებობას.

- ჩართულობისა და სამშვიდობო პროცესების შესაძლებლობებს ამცირებს აგრეთვე ის შეზღუდვები, რომლებსაც აწესებს რუსეთის მთავრობა, სოხუმი და ცხინვალი. რუსეთს სჯერა, რომ მის რეგიონალურ პოზიციას აძლიერებს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის გაუცხოება. და კიდევ, სოხუმსა და ცხინვალში ზოგიერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათი პირადი ინტერესია ჩართულობის ინიციატივების ჩაშლა.
- საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრს სამშვიდობო პროცესებში ჩაბმულობის კუთხით (ადამიანური ურთიერთობის, ერთობლივი აქტივობებისა და პროექტების წახალისება). დღეს ეს ტენდენცია შეცვლილია - ისინი ცდილობენ დაეხმარონ არასამთავრობოების ვიწრო წრეს, რომლებიც ძალიან ახლოს არიან ან საქართველოს მთავრობასთან, ან აფხაზეთის/სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან, რის გამოც მათი მუშაობა შეიძლება არც იყოს სათანადოდ ეფექტიანი, რადგან ისინი არ ახმოვანებენ უბრალო ხალხის მოსაზრებებს.

## დ) რეკომენდაციები

ქართველებს, ეთნიკურ აფხაზებსა და ოსებს შორის მეტი კონტაქტების დამყარებისა და დიალოგის შესაძლებლობების გაზრდისათვის, ჯგუფები გვთავაზობენ შემდეგ წინაპირობებსა და კონკრეტულ ნაბიჯებს:

1. *მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კონტაქტების ჩამოყალიბებას გაყოფილ ხაზებს შორის როგორც პოლიტიკის წარმოებით, ისე პრაქტიკულად.*
- ა) საქართველოს მთავრობამ „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“ ისე უნდა განახორციელოს, რომ პრაქტიკულად შეუწყოს ხელი ჩართულობას და არ მოხდეს მისი გამოყენება ხელშემშლელ მექანიზმად. ამისათვის სახალხო დიპლომატიის მხარდასაჭერად მთავრობამ უნდა გააკეთოს საჯარო განცხადებები და 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს მის განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯები;
- ბ) საქართველოს ხელისუფლებამ ადგილობრივ

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით აფხაზებსა და ოსებთან დიალოგის ინიცირება უნდა მოახდინოს, რათა გამოიძებნოს საუკეთესო გზები მათთან კონტაქტების გასაღრმავებლად.

2. *საზოგადოებამ უფრო მეტად უნდა მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში და მხარი დაუჭიროს მის მიზნებს.*
  - ა) ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დონორების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, უნდა უზრუნველყონ საინფორმაციო პროგრამების განხორციელება სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მიზნების, მეთოდებისა და შედეგების მიმართულებით. ასეთი საინფორმაციო კამპანიის მთავარი სამიზნე ჯგუფები უნდა იყვნენ ახალგაზრდები;
  - ბ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მოაწიონ ტრენინგები, რომლებიც შეეხება სახალხო დიპლომატიის ბუნებასა და ფორმას, სხვა ქვეყნებში წარმატებულ მაგალითებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა ჩაება სახალხო დიპლომატიაში. ეს ტრენინგები უნდა განხორციელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მხოლოდ კონფლიქტის მოსაზღვრე რეგიონებში;
  - გ) ჩართულობის სტრატეგიის განხორციელებასთან ერთად ხელისუფლებამ უნდა გამოხატოს მხარდაჭერა იმ აქტივისტების მიმართ, რომელთა მოქმედებები მიმართული იქნება წარსულის ნეგატიური ასპექტების დაძლევის და ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მომავალი ნდობის აღდგენისაკენ.
3. *მედია კონსტრუქციულად უნდა გააშუქოს სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებული ინიციატივები.*
  - ა) საერთაშორისო დონორებისა და ექსპერტების მხარდაჭერით ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ჟურნალისტთა ტრენინგები როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეზე კონფლიქტის საკითხებისა და სამშვიდობო პროცესების სენსიტიური კუთხით გაშუქების უნარ- ჩვევების გამომუშავების მიზნით.
  - ბ) მედიას საშუალება უნდა მიეცეს თავისუფლად გააშუქოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები და ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული მთავრობის ხედვაზე.
  - გ) საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო

სექტორმა, რომლებიც სამშვიდობო ინიციატივებსა და კონფლიქტის საკითხებზე მუშაობენ, მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყარონ მედიის წარმომადგენლებთან საზოგადოებისა და აფხაზებისათვის მიმდინარე სამშვიდობო პროცესებზე ზუსტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

4. *რუსეთის მთავრობამ (ასევე სოხუმმა და ცხინვალმა) ნაკლებად უნდა შეზღუდოს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის კონტაქტი.*
  - ა) საერთაშორისო თანამეგობრობამ აქტიურად უნდა იმუშაოს რუსულ მხარესთან (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან) და დაარწმუნოს იგი, რომ არ შეზღუდოს პირდაპირი კონტაქტები ხალხს შორის.
  - ბ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქართულ არასამთავრობოებთან ერთად უნდა დაიწყონ მუშაობა რუსეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედ ძლიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ზემოაღნიშნული საკითხის ლობირების მიზნით.
5. *საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მიმართული უნდა იყოს ისეთი სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერისაკენ, რომლებშიც ბევრი ადამიანი იქნება ჩაბმული:*
  - ა) საერთაშორისო თანამეგობრობა და დონორები მიმართული უნდა იყვნენ სამშვიდობო პროცესებში დახმარებისათვის, გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონტაქტების გაზრდისა და საერთო ინტერესზე დაფუძნებული პროექტების წახალისებისაკენ;
  - ბ) საერთაშორისო დონორებმა მშვიდობის შენებისათვის გამიზნული პროექტების შემუშავების პროცესში კონსულტაცია უნდა გაიარონ ადგილობრივ სამიზნე თემებთან, რათა ისინი ეფუძნებოდეს ადგილობრივ რეალობასა და საჭიროებებს;
  - გ) დონორებმა მხარი უნდა დაუჭირონ გამყოფი ხაზებით დაშორებულ ხალხს შორის დიალოგის წახალისებაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს როგორც ფინანსური დახმარების გაწევით, ისე მათი მხარდამჭერი საჯარო განცხადებებით.

## ძირითადი გამოწვევა 4: რეგიონების დაბალი ეკონომიკური განვითარების დონე

### ა) მნიშვნელობა მომავალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები განიცადა. ეკონომიკურმა სტაგნაციამ სხვა პრობლემებთან ერთად ქვეყანაში ფართომასშტაბიანი უმუშევრობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა, ეს განსაკუთრებით თბილისს შეეხო და ეკონომიკური განვითარება ნაკლებად გავრცელდა საქართველოს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე ჯერ კიდევ ეკონომიკურად დამოკიდებული იყო რუსეთზე. რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, მათ შორის რუსეთ-საქართველოს შორის გაწყვეტილი ეკონომიკური ურთიერთობის და გართულებული მიმოსვლის გამოც. თბილისსა და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებთან შედარებით, რეგიონებში ცხოვრების ხარისხის დაბალი დონე ზრდის სოციალურ არასტაბილურობას.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება თვალსაჩინოა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლშიც, რადგან უმცირესობების თემები ამ რეგიონებში ტრადიციულად მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული რუსეთში მცხოვრები ახლობლებისგან ფინანსური დახმარების მიღებასა და სეზონურ სამუშაოზე. სოციალურ და ეთნიკურ პრობლემებთან ერთად ამ რეგიონებში ეკონომიკის დაბალი განვითარების დონე იწვევს იმედგაცრუებას ხელისუფლების მიმართ, ასევე ზრდის არასტაბილურობას და თემებს შორის დამაბულობის საფრთხეს.

### ბ) ეროვნული დონის ზეგავლენა (ვისზე და როგორ აქვს გავლენა)

- ეკონომიკური განვითარების დონე არაერთგვაროვანია რეგიონებსა და ცენტრში. ამის შედეგია ეკონომიკური უთანასწორობა და რეგიონებიდან შრომითი მიგრაციის მაღალი სალდო.
- სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად გაუარესდა მთელს ქვეყანაში, მათ შორის უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რადგან ეს რეგიონები ძირითადად რუსეთში მომუშავე ოჯახის წევრების მხრიდან შემოსულ დახმარებაზე არიან

დამოკიდებული.

მიუხედავად მთავრობის ბოლოდროინდელი ძალისხმევებისა (მაგ., ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები), გამოსაწიროს ეკონომიკური ვითარება რეგიონებში, უმცირესობების თემების გარკვეულ ნაწილში ქართულ-რუსული ურთიერთობის გართულების გამო საქართველოს ხელისუფლების მიმართ გარკვეული უკმაყოფილება გამოიკვეთა.

- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარებით რეგიონებში არსებული უკმაყოფილება უარყოფით როლს თამაშობს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობაში, ვინაიდან უმცირესობები სოციალურ პრობლემებს ეთნიკურ ჭრილში განიხილავენ. ეს იმედგაცრუება შეიძლება გააძლიერონ უცხოურმა მედიაწყაროებმა. მაგალითად, სამხრეთი თემი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით ძირითადად რუსეთისა და სომხეთის მედიაწყაროებზეა დამოკიდებული.

### გ) ეროვნული დონის გამომწვევი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანას გარკვეული დრო დასჭირდა ეკონომიკის აღსადგენად და რუსეთის სხვა სავაჭრო პარტნიორებით ჩასანაცვლებლად. 2008 წლის აგვისტოს ომამდეც კი საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ეკონომიკურად რუსეთზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, რუსეთი იყო ადგილობრივი მოსახლეობის სეზონური დასაქმების ძირითადი წყარო (სამცხე-ჯავახეთი) და ხშირ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზარი (შიდა ქართლი და სამეგრელო). ამ რეგიონებში ბევრი ოჯახი დამოკიდებული იყო იმ ფინანსურ შემოსავალზე, რომელსაც ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისას იღებდნენ და რომლებსაც მათ რუსეთში მცხოვრები და დასაქმებული ნათესავები უგზავნიდნენ.
- რუსეთ-საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობის შედეგად შეიზღუდა რუსეთში გამგზავრების შესაძლებლობა და კავშირები ამ რეგიონების მაცხოვრებლებსა და რუსეთში მცხოვრებ მათ ნათესავებს შორის, შეფერხდა შრომითი მიგრაცია და ნათესავებისგან გამოგზავნილი ფინანსური დახმარების შემოდინება.
- მთავრობის ეკონომიკური განვითარების მიდგომაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა

რეგიონის კონტექსტი. არ არის შესწავლილი რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და არ ხდება რეგიონებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა. ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირების (მაგ., სამცხე-ჯავახეთში) მიუხედავად, ქვეყნის განვითარებისთვის განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროების (მაგ., ტურიზმის) განვითარება ჯერ არ შეხებიდა რეგიონებს.

- არ არის ათვისებული თითოეული რეგიონის ბუნებრივი რესურსები და სოფლის მეურნეობა ნაკლებადაა განვითარებული, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გადაძწყვეტი მნიშვნელობისაა ეს დარგი რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობისათვის. რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს ა) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის არარსებობა და ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების ხელმიუწვდომლობა.

## დ) რეკომენდაციები

რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის წარმომადგენლობითი ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა დაკმაყოფილდეს შემდეგი წინაპირობები და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ:

1. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მხარი უნდა დაუჭიროს რეგიონებზე მორგებულ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას:
  - სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და გარემოს დაცვის სამინისტროებმა უნდა შეისწავლონ ნაკლებად განვითარებული რეგიონების საჭიროება, შეაფასონ მათი ეკონომიკური პოტენციალი და გამოავლინონ პრიორიტეტული სფეროები;
  - განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებმა უნდა უზრუნველყონ რეგიონისათვის საჭირო დარგების სპეციალისტების მომზადება და ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით;
  - ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა უნდა ჩაატარონ რეგიონებში ეკონომიკური სტრატეგიების

განხორციელებისა და იმ საკანონმდებლო აქტების მონიტორინგი, რომლებიც გავლენას ახდენს რეგიონების ეკონომიკაზე; შეიმუშაონ რეკომენდაციები და გამოაქვეყნონ შედეგები.

2. *რეგიონების ბუნებრივი რესურსები გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის:*
  - გარემოს დაცვის სამინისტრომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეისწავლონ რეგიონების ბუნებრივი რესურსები;
  - გარემოს დაცვის სამინისტრომ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა განავითარონ რესურსების მართვის სტრატეგია ისე, რომ რეგიონებმა შეძლონ მოგებით სარგებლობა; უნდა გაიცეს მართვის შესაბამისი ლიცენზიები.
3. *უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია:*
  - განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებმა დარგის სპეციალისტების (ინჟინერები, ბუღალტრები, აგრონომები, ტექნოლოგები და სხვ.) მომზადების მიზნით უნდა განავითარონ სპეციალური პროგრამები და უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა რეგიონის მაცხოვრებლებისათვის;
  - სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შიდა ბაზრის დაგეგმვა და დაბალანსება; მთელი ქვეყნის მასშტაბით რჩევები უნდა მიეწოდოთ ფერმერებს იმაზე, თუ რა დაითესოს და რა რაოდენობით;
  - კერძო სექტორმა უნდა ჩამოაყალიბოს რეგიონში ფერმერთა დაზღვევის სისტემა; მთავრობამ დონორთა დახმარებით უნდა შემოიღოს ფერმერთა საკრედიტო სისტემა;
  - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს რეგიონებში სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (გზები, სარწყავი წყლით მომარაგება, ტრანსპორტი).
4. *პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი დივერსიფიცირებულია:*
  - მთავრობა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების



და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ეხმარებიან ფერმერებს სოფლის მეურნეობის და რეგიონში წარმოებული სხვა პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრის მოძიებაში [როგორც შიდა, ისე უცხოური] იმპორტისა და ექსპორტის რეგულაციის გზით;

- საქართველოს მთავრობა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის: მაგ, ხსნის საკონსულტაციო ცენტრებს, მიმღებ საწყობებს, ლაბორატორიებს.



## ძირითადი გამოწვევა 5: რეგიონებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში პროგრესის ნაკლებობა

### ა) მნიშვნელობა ადგილობრივი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის

ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება გამოწვევაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეს საკითხი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობამ ეჭვქვეშ დააყენა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობა გულწრფელად წარმოადგინოს ხალხი და უპასუხოს მათ საჭიროებებს, ასევე ეფექტიანად გაუმკლავდეს კრიზისს. 2008 წლის აგვისტოს ომმა და მისმა შემდგომმა პერიოდმა გამოააშკარავა ადგილობრივი დემოკრატიული პროცესების ერთგვარი სირთულეები და ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდული შესაძლებლობა უზრუნველყოს საკუთარი ამომრჩევლის საჭიროება.

### ბ) ეროვნული დონის ზეგავლენა (ვისზე და როგორ აქვს გავლენა)

- მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს იმის განცდა, რომ არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლება არ ინტერესდება საკითხების ფართო სპექტრით, რომელიც მნიშვნელოვანია მათი ყოველდღიური ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის.
- ადამიანები ვერ გრძნობენ, რომ ისინი მმართველობის პროცესის მონაწილეები არიან. კონკრეტულად, მოქალაქეებს არა აქვთ იმის განცდა, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია და რომ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობის მოქმედებებსა და პოლიტიკაზე ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე.
- რეგიონის მოსახლეობა გულგატეხილია, რადგან, მათი აზრით, მთავრობის მოქმედებები არ ეხმაურება მათ საჭიროებებს, რაც ზრდის აპათიას პოლიტიკური პროცესის მიმართ.
- არსებობს აზრი, რომ მოსახლეობასთან მჭირი კონსულტაციების გამო, ისედაც არასაკმარისი რესურსები იხარჯება ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომლებსაც არავითარი სარგებელი არ მოაქვს მათთვის და ვერ პასუხობს მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს.
- ხალხი ეჭვქვეშ აყენებს დემოკრატიული ღირებულებების ეფექტიანობას მათი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით, განსაკუთრებით ადგილობრივი

თვითმმართველობის მზაობას პოტენციური კრიზისების მართვის კუთხით. 2008 წლის აგვისტოს ომმა და მისმა შემდგომმა პერიოდმა გამოააშკარავა ადგილობრივი დემოკრატიული პროცესების გარკვეული სირთულეები და ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდული შესაძლებლობა, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ხალხის საჭიროებებზე.

### **გ) ეროვნული დონის გამომწვევი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)**

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები რეგიონისათვის პრიორიტეტების შემუშავებისა და ბიუჯეტირების პროცესში, ადგილობრივი ხელისუფლება არასათანადო პოლიტიკური ნებისა და შესაძლებლობების არქონის გამო არ ან ვერ ქმნის რეალური თანამშრომლობის პლატფორმას.
- ადგილობრივი ბიუჯეტი უმეტესად დამოკიდებულია ცენტრიდან ტრანსფერებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონის პრიორიტეტებს განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის ფორმირებისას ადგილობრივი ხელისუფლება წარადგენს წინადადებებს, საბოლოო გადაწყვეტილებას თბილისი იღებს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კანდიდატები ძირითადად შეირჩევიან მმართველი პარტიისადმი ლოიალობის ნიშნით და არა მათი შესაძლებლობით, წარმოადგინონ თავიანთი ამომრჩეველი. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას არააქვს მჭიდრო კავშირი თავის ამომრჩეველთან, არ არის მოტივირებული თავისი ამომრჩეველების სახელით გააკეთოს ხმამაღალი განცხადებები, საჭიროების შემთხვევაში გააკრიტიკოს ზემდგომი პირების მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები.
- რეგიონის სამოქალაქო საზოგადოება არ არის აქტიური და საკმარისად ორგანიზებული იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მმართველობის პროცესში მოსახლეობის უფრო მეტ ჩართულობას.
- მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციას აქვს გააზრებული საკუთარი პოტენციური როლი საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მაგრამ ამავე დროს ამის

კონსტრუქციულად წარმოების ძალზე მწირი გამოცდილება გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ რეგიონებში არსებობს კარგი მედიასაშუალებები და მუშაობენ კარგი ჟურნალისტები, ისინი არ არიან მიმართული ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესის გაშუქებაზე.

#### დ) რეკომენდაციები

რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მიზნით, ჯგუფები გთავაზობენ ისეთ წინაპირობებსა და კონკრეტულ ნაბიჯებს, როგორცაა:

1. *მმართველობის პროცესის შემდგომი დეცენტრალიზაცია:*
  - ა) ევროსაბჭოს ზედამხედველობის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ერთობლივად უნდა გადახედონ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის/ვალდებულების სამართლებრივ ბაზას, რათა ისინი შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის ქარტიით აღებულ ვალდებულებებს;
  - ბ) მთავრობამ უნდა გაზარდოს იმ შემოსავლების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში და ექვემდებარება ადგილობრივ განკარგვას;
  - გ) მთავრობამ უნდა განახორციელოს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ინსტიტუტის რეფორმირება - იგი უნდა გარდაიქმნას არჩევით თანამდებობად.
2. *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება:*
  - ა) არასამთავრობო სექტორმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ სტრატეგია და ტრენინგის სისტემა ადგილობრივ საჯარო მოხელეთა შესაბამისი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით, სადაც ყურადღება დაეთმობა: ა) კრიზისული სიტუაციების მართვას; ბ) სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ბიუჯეტირების პროცესს; გ) მოსახლეობასთან კონტაქტისა და კონსულტაციების წარმოების დაუფლებას;
  - ბ) ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს პირების თანამდებობაზე დანიშვნის გამჭვირვალე მექანიზმი.

*3. მმართველობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობა:*

- ა) არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოქალაქეთათვის უნდა შექმნან ტრენინგ-პროგრამები თემაზე – როგორ უნდა ითანამშრომლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულად და ამავე დროს როგორ უნდა განახორციელო ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯვისა და საქმიანობის მონიტორინგი;
- ბ) ადგილობრივი მთავრობა და არასამთავრობო სექტორი უნდა შეთანხმდნენ ბიუჯეტირების პროცესის ერთობლივად გადახედვის სათანადო მექანიზმზე.

*4. ადგილობრივი თვითმმართველობის და მისი მუშაობის შესახებ ცნობიერების ამაღლება:*

- ა) სამოქალაქო საზოგადოებამ, საერთაშორისო დონორების დახმარებით, უნდა აწარმოოს ცნობიერების ამაღლების კამპანია ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებთან დაკავშირებით;
- ბ) უნდა მოეწყოს საჯარო განხილვა თემაზე „რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობა“ და როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში. ამ დისკუსიებზე უნდა განიხილებოდეს როგორც გამოწვევები, ისე პოზიტიური მაგალითები;
- გ) საჯარო განხილვას უნდა მოჰყვეს შეთანხმება პოზიტიურ ცვლილებებზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც სამომავლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მაგალითი. ასეთი პოზიტიური ცვლილებები საჭიროა იმისათვის, რომ საჯარო განხილვის მონაწილეებს არ გაუცრუვდეთ იმედი იმის გამო, რომ ნაკლებია თვალსაჩინო პროგრესი.

## **დანართი: პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია**

თითოეული ძირითადი პრობლემის გამოსავლენად წარმომადგენლობითმა ჯგუფებმა გაიარა რამდენიმესაფეხურიანი სამუშაო პროცესი. თავდაპირველად მოხდა „პრობლემების ფორმულირება“ თითოეული გამოწვევის ასახსნელად. შემდეგ თითოეული პრობლემის გათვალისწინებით შეიქმნა „გადაწყვეტილებების სტრატეგია“, ანუ როგორ უნდა გადაჭრილიყო ესა თუ ის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო კონკრეტულ რეკომენდაციებს. პროცესის ყოველ ეტაპზე წარმომადგენლობითი ჯგუფის წევრები კონსულტაციებს მართავდნენ შესაბამისი რეგიონების ადგილობრივ თემთა ფართო სპექტრთან.

### **„პრობლემის განაცხადის“ შემუშავება**

კონკრეტული გამოვლენილი პრობლემისათვის „პრობლემის განაცხადის“ მოსამზადებლად, წარმომადგენლობით ჯგუფებს ჩაუტარდა ფასილიტაცია, რათა გაანალიზებულიყო: (1) პრობლემების გამომწვევი და მამოძრავებელი ფაქტორები, ანუ რა იწვევს პრობლემას და ვინ არის პასუხისმგებელი; (2) პრობლემის გავლენა, ანუ ვინ და რა სახის გავლენას განიცდიდა. იდენტიფიცირებულ გავლენაზე მუშაობისას ჯგუფებს სთხოვეს, ნათლად ჩამოეყალიბებინათ, (3) რატომ არის საკითხი მნიშვნელოვანი რეგიონებში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის.

### **„პრობლემის განაცხადის“ ტრანსფორმირება „გადაწყვეტილების სტრატეგიად“**

როდესაც დაიდო „პრობლემის განაცხადი“, ჯგუფებს ეთხოვა შესაბამისი „გადაწყვეტილების სტრატეგიის“ შემუშავება. ამასთან ერთად ჯერ სთხოვეს: (1) იმ საბოლოო ცვლილების იდენტიფიცირება, რომლის მიღებაც უნდოდათ მათ პრობლემაზე მუშაობის შედეგად; (2) იმ წინაპირობების იდენტიფიცირება, რომელთა დაკმაყოფილებაც იყო საჭირო – იქნებოდა ეს პოლიტიკის, პრაქტიკის, დამოკიდებულებისა თუ ქვევის შეცვლა. პროცესის ყველაზე დიდი სირთულე იმის უზრუნველყოფა იყო, რომ სია არ დამსგავსებოდა გრძელ „საყიდლების ნუსხას“. ამდენად, ჯგუფებმა მიიღეს მითითება, რომ გამოეყოთ მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც აბსოლუტურ საჭიროებას წარმოადგენდა და რომელთა გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა საბოლოო ცვლილებების

განხორციელება; დაბოლოს, (3) იმ ნაბიჯებზე თუ ცვლილებებზე „ბრეინსტორმინგის“ ჩატარება, რომლებიც აუცილებელია თითოეული ამ წინაპირობის შესაქმნელად.

**გთხოვთ, ქვემოთ იხილოთ ჯგუფებისათვის მაგალითად მიცემული „გადაწყვეტის სტრატეგია“**

**1) საბოლოო ცვლილება, რომელიც გვჭირდება**

შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მარგინალიზებულ ქალებს კონფლიქტის გავლენის ქვეშ მყოფი თემებიდან საშუალება მიეცემათ დაიცვან საკუთარი უფლებები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებათა მიღებაში

**2) მირითადი წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია საბოლოო ცვლილების მისაღწევად**

ქალებმა გაიმდიერეს თვითრწმენა და სურვილი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში	ქალებმა გაიმდიერეს საჭირო უნარ-ჩვევები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად	არსებობს ადეკვატური კანონები, რომლებიც იცავენ ქალთა უფლებებს	საზოგადოებაში არსებობს მხარდაჭერა ქალების ჩართულობის მიმართ გადაწყვეტილების აღებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი უფლებების დაცვის მიმართ
--	--	--	---

**3) მირითადი წინაპირობების შესაქმნელად აუცილებელი ნაბიჯები**

↑	↑	↑	↑
ქალთა წარმატება ისევე აღიარებულია/ დაფასებულია, როგორც მამაკაცების	ქალთა დაშვება განვითარების სამუშაოებზე იზრდება	შესამსუვლა მკვეთრად ჩასუკალიზებული და ფართოდ გავრცელებული აღქმა იმისა, თუ რა არის ქალების უფლება	შეიმჩნევა ცვლილებები ქალთა როლთან მიმართებით საზოგადოებაში
ქალებს აქვთ მდიერი მხარდამჭერი ქსელი	არსებობს გარემო, რომელშიც ქალებს შეუძლიათ სხვა რას-განაირი როლის თამაში	სამოქალაქო საზოგადოება ორგანიზებულია და უზიბტებს ქალების უფლებების უფრო ფართოდ დაცვას	
ქალები გრძნობენ მათ მონაწილეობაზე/წვლილზე არცებით მოთხოვნას	ქალები აცნობიერებენ შესაბამისი კარიერის გზების არსებობას პოლიტიკურ ცხოვრებაში	არიან ქალთა უფლებებისთვის მებრძოლები პოლიტიკურ სისტემაში	
ქალები ხედავენ საკუთარი საქმიანობის შედეგებს	პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურა უნარ-ჩვევების განვითარების სამუშაოებს იძლევა	არსებობს საინფორმაციო ბაზა ქალთა მონაწილეობის სარგებლიანობის შესახებ	
პოლიტიკური კულტურა ხდება ნაკლებ მამაკაცური, ნაკლებ "მამო პოლიტიკა"			

## რეკომენდაციების შემუშავება „გადაწყვეტილებების სტრატეგიიდან“

შემდეგ ეტაპზე ჯგუფებს დაევალებათ რეკომენდაციების მომზადება „გადაწყვეტილებების სტრატეგიებიდან“: (1) თითოეული წინაპირობის იმ ძირითადი საკითხის ხელახალი ფორმულირებით, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება; (2) თითოეული ნაბიჯის კონკრეტულ რეკომენდაციად ხელახალი გარდაქმნით – რა არის გასაკეთებელი და ვინ არის ამ ცვლილებისათვის პასუხისმგებელი.

შეგიძლიათ გაეცნოთ ქვემოთ მაგალითად გამოტანილ რეკომენდაციებს, რომლებიც ჯგუფებს მიეწოდა სავარჯიშოდ.

### 1) გადასაწყვეტი ძირითადი საკითხი

ქალთა თვითრწმენის და სურვილის გაძლიერება მონაწილეობა მიღწეულ პოლიტიკურ ცხოვრებაში

### 2) კონკრეტული რეკომენდაციები



საჭიროა, ქართულმა მედიასაშუალებებმა გაზარდონ/გააძლიერონ ქალთა მონაწილეობის გაშუქება თემის და საზოგადოების ცხოვრებაში, იმ წვლილის გამოკვეთით, რომელიც ქალებს შეაქვთ საქართველოს საზოგადოებაში.

ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურ როლს თამაშობენ პოლიტიკაში შესაბამისი ტრენინგების ჩატარებით, ქალების გამხსნევებით და მობილიზაციით ადვოკატურისთვის არსებული შესაძლებლობების გარშემო

ყველა პოლიტიკური პარტია, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები საჭიროებენ ქალთა წვლილს, როგორც ისინი ახალი პოლიტიკური მიმართულებების ფორმულირებაზე მუშაობენ

ყველა პოლიტიკური პარტია აქტიურად იღებს ქალებს წევრებად და ამოწმებს მათ სამუშაო კულტურას და პრაქტიკულ საქმიანობას იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი გენდერულად მგრძობიარე არიან.

ეს ანგარიში შედგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული კონსულტაციების საფუძველზე საქართველოს ოთხ რეგიონში:

### **ქვემო ქართლი**

ჯონდო ადუაშვილი  
ირმა ზურაბიშვილი  
დიმიტრი ლაზარი  
რუსტამ მაილოვი  
ირმა მჭედლიძე  
ლეილა სულიემანოვა  
საბინა ტალიბოვა  
შორენა წიკლაური

### **სამცხე-ჯავახეთი**

ედგარ არუთუნიანი  
ნარინე გინოსიანი  
არმენ დარზინიანი  
შორენა თეთვაძე  
არარატ თითიანი  
ქრისტინა მარაბიანი  
მახარე მაცუკატოვი  
სედა მელქუმიანი  
ცირა მესხიშვილი

### **სამეგრელო**

ია თოდუა  
ბაჩანა გაგუა  
ლარისა აგაბალაევა  
იაგო ფასანძე  
ეკა მინჯორაია  
მერაბ დანელია  
თეა გაბისიანი  
მადონა ხარებავა  
ნონა ქობალია  
გვიგა გაბედავა

### **შიდა ქართლი**

ლამარა შაყულაშვილი  
ნაზი ბერუაშვილი  
არინა თავაქარიშვილი  
ზაზა ჭიპაშვილი  
ნათია ლურსმანაშვილი  
მალხაზ მინდიაშვილი  
ავთანდილ ვალიევი  
რეზო ოქრუაშვილი  
ნაილი ჩილინდრიშვილი

ეს ანგარიში შედგენილია ნოდარ ჯიქიას, ქეთევან ბებიაშვილის, მერაბ ცინდელიანის, გია ანდლულაძის ნინო ჩიხლაძისა და თიკო ტყემელაშვილის მიერ.

ტექსტს საბოლოო რედაქტირება გაუკეთეს: დავით ლოსაბერიძემ, დევიდ ვუდმა და დიანა ჟღენტმა.

ტექსტის საბოლოო რედაქტირება ეკუთვნით დევიდ ვუდსა და დიანა ჟღენტს. მადლობას ვუხდით ფლორ ჯასტსა და აივან კამპბელს მეთოდოლოგიის შემუშავებასა და ძირითადი ჯგუფის ფასილიტაციის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.





## **მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი**

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დამოუკიდებელი, საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ცენტრია. ინსტიტუტი დაფუძნდა თბილისში 1992 წელს.

CIPDD არის არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაცია. ინსტიტუტის კომპეტენცია განსაკუთრებით მაღალია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის პრობლემები და სამოქალაქო ინტეგრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები. კავკასიური ინსტიტუტი ასრულებს კვლევით სამუშაოებს, ამზადებს და გამოსცემს სხვადასხვა პუბლიკაციას, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს.



## **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. იგი საქმიანობს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა კავშირი.

### **ასოციაციის მიზნებია:**

- იურისტთა შორის პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება;
- იურისტთა პროფესიული დაოსტატება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ადვოკატის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- საზოგადოებაში სამართალშეგნების დონის ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება;
- სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა.



## **Saferworld**

Saferworld-ი მუშაობს კონფლიქტის პრევენციის, შემცირებისა და უსაფრთხოების ერთობლივი მიდგომების შემუშავებისათვის. იგი თანამშრომლობს სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ეფექტიანი პოლიტიკის დამკვიდრებას ადვოკატირების, კვლევისა და პოლიტიკის განვითარებაში.

## მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოში - ადგილობრივ

### თემებთან ერთად შემუშავებული სტრატეგია

ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში წარმომადგენლობითი ჯგუფების ქსელის აზრით, საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის უნდა გავუმკლავდეთ ისეთ გამოწვევებს, როგორცაა:

**ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები.** აგვისტოს ომმა ნათელი გახადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არჩეული საშუალებები - მხოლოდ სამხედრო სფეროს განვითარება, აგრეთვე ნატოს წევრობისაკენ სწრაფვა თავისთავად საკმარისი არ არის. ამასთან, საქართველოში უთოთა და გაეროს მისიები შეწყდა, რითაც პრაქტიკულად მოიხსნა უსაფრთხოების კიდევ ერთი საშუალება, ომის შემდეგ არ შექმნილა არანაირი საერთაშორისო მექანიზმი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ.

**ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.** საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 1990-იანი წლებში ეთნიკურ ნიადაგზე გაჩენილმა მწვავე კონფლიქტებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კონფლიქტის გამოწვევი ძირეული მიზეზები, ისეთი, როგორცაა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის სუსტი კომუნიკაცია, დღესაც შეინიშნება.

**ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის დიალოგის შესაძლებლობისა და უფრო მეტ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სიძნელებები.** მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა დამოკიდებულია რუსეთის მოქმედებებზე, ის მაინც ვერ იქნება მდგრადი, თუ ქართველები და აფხაზები და ქართველები და ოსები ვერ მიადნევენ შეთანხმებას. ეს დამოკიდებულია გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ აფხაზებსა და ოსებთან დიალოგზე. სამწუხაროდ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დიალოგის ინიციატივებში მონაწილეობის ხელშეწყობა შემცირდა, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

**რეგიონების დაბალი ეკონომიკური განვითარების დონე.** ეკონომიკური ზრდა განსაკუთრებით თბილისს შეეხო და ნაკლებად გავრცელდა საქართველოს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე. რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, მათ შორის რუსეთ-საქართველოს შორის განწყვეტილი სავაჭრო ურთიერთობის და გართულებული მიმოსვლის გამოც.

**რეგიონებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში პროგრესის ნაკლებობა.** ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობამ ეჭვქვეშ დააყენა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობა, რეალურად წარმოადგინოს ხალხი და უპასუხოს მათ საჭიროებას, ასევე ეფექტიანად გაუმკლავდეს კრიზისს.

ამ სტრატეგიის შესახებ დეტალური რეკომენდაციები მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

ეს ანგარიში დაიბეჭდა ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტების მოგვარების ფონდის მხარდაჭერით. ამ ანგარიშის შინაარსისათვის პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ან გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პოზიციას.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ